სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №49

2010 წ. 10 დეკემბერი

ქ. თბილისი

**სასწავლო-შემეცნებითი კომპიუტერული პროგრამების გრანტების გაცემის მიზნით კონკურსის გამართვის, საგრანტო განაცხადების მიღების ვადის დადგენისა და საგრანტო განაცხადების ფორმების დამტკიცების შესახებ**

"სასწავლო-შემეცნებითი კომპიუტერული პროგრამების გრანტის გაცემის წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 ივნისის №171 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს საგრანტო კონკურსი სასწავლო-შემეცნებითი კომპიუტერული პროგრამების გრანტების გაცემის მიზნით 2010 წლის 10 დეკემბერს.
2. სასწავლო-შემეცნებითი კომპიუტერული პროგრამების გრანტების გაცემის მიზნით საგრანტო განაცხადების სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდში წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2010 წლის 10 დეკემბრიდან 2010 წლის 14 დეკემბრის 14:00 საათამდე.

3. სასწავლო-შემეცნებითი კომპიუტერული პროგრამების გრანტების გაცემის მიზნით გასამართი კონკურსის საბოლოო შედეგები გამოცხადდეს არა უგვიანეს 2010 წლის 17 დეკემბრისა.
4. დამტკიცდეს სასწავლო-შემეცნებითი კომპიუტერული პროგრამების გრანტის გაცემის მიზნით საგრანტო განაცხადების ფორმები:

   1) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის თაობაზე (დანართი №1);
   2) განაცხადის წარმომდგენი პირის შესახებ ზოგადი მონაცემები (დანართი №2);
   3) პროექტის აღწერა (დანართი №3);
   4) პროექტის ბიუჯეტი (დანართი №4).

5. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორს თ. გორგოძეს ბრძანების საჯაროდ გაცნობისათვის განთავსება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.
6. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური